

შპს ჯიტიერ
ფინანსური ანგარიშგება
2019

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,121,888	82,944
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,121,888	82,944
სასაქონლო მარაგები	5	131,341	27,335
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	4,369,447	2,651,911
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		423,703	429,476
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,924,490	3,108,723
სულ აქტივები		6,046,378	3,191,666
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	160,471
სავაჭრო ვალდებულებები		3,315,482	1,453,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,315,482	1,613,471
სულ ვალდებულებები		3,315,482	1,613,471
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,730,896	1,578,196
სულ საკუთარი კაპიტალი		2,730,896	1,578,196
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6,046,378	3,191,666

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	7	13,792,848	15,703,541
ამონაგების თვითღირებულება	8	(1,219,302)	(1,000,304)
საერთო მოგება		12,573,547	14,703,237
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(11,657,603)	(13,036,747)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	236,756	(367,983)
მოგება დაბეგვრამდე		1,152,700	1,298,507
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,152,700	1,298,507

შპს ჯიტიერ
დირექტორი: ლაშა მელიქაძე _____

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი -01.01.2018	-	279,689	279,689
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	1,298,507	1,298,507
ნაშთი - 31.12.2018	-	1,578,196	1,578,196
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	1,152,700	1,152,700
ნაშთი - 31.12.2019	-	2,730,896	2,730,896

შპს ჯიტიერ
დირექტორი: ლაშა მელიქაძე _____

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ჯიტიერ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 10/06/2016). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, შავთელის ქ., N 17. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით

კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია,

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და რჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე/მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენის, ადგილზე მიტანის და გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობის მოყვანის ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც იგი მზად არის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 2 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერ მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის მოგება-ზარალიან ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდგომ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების

მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

3. ცვლილებები წარდგენაში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	429476	4660	424817
სხვა მიმდინარე აქტივები	38417	(18829)	57246
ძირითადი საშუალებები	82944	18555	64388
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1453000	17691	1435308
საგადასახადო ვალდებულებები	160471	(1852)	162323
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1578195.9	(11453)	1589648.8
მოგება-ზარალის ანგარიშგება			
ამონაგები	15703541	(3353)	15706894
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1000304)	(16245)	(984059)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(3821373)	10043	(3831416)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(337610)	(6424)	(331186)
სხვა წმინდა არასავალუტო შემოსავალი/ (ხარჯი)	(30373)	4527	(34900)
წმინდა მოგება	369060	(11452)	371053

4. ძირითადი საშუალებები

	2019	2018
მანქანა-დანადგარები	19370	19370
ოფისის აღჭურვილობა	65373	634
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12797	-
1000 ლარამდე ავეჯი და სხვა თბილისში	16012	7353
1000 ლარამდე ავეჯი და სხვა კპრეთში	2203	2203
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1006134	53384
სულ	1121888	82944

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

დამხმარე მარაგები მოიცავს მცირეფასიან აქტივებს რომელიც გამოიყენება საოპერაციო საქმიანობაში, მათი გამოყენების ვადის ხანგრძლივობა არ აღემატება 1 საანგარიშგებო წელს.

	2019	2018
საქონელი-პროდუქტები თბილისი	131341	27335
სულ	131341	27335

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	3504406	2178236
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	13917	6753
სამეურნეო -საწყობი	611507	31664
საგადასახადო აქტივი	25,918	-
გადახდილი ავანსები	213,699	435258
სულ	4369447	2651911

7. ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი ოთახებიდან	10661078	12360227
შემოსავალი კვებიდან	1813943	1873888
შემოსავალი სასმელიდან	513376	367535
შემოსავალი სხვა F&B	244528	299339
შემოსავალი გოლფ კლუბიდან	-	31652
შემოსავალი კომუნიკაციიდან	276	369
შემოსავალი ტრანსპორტირების მომსახურებიდან	45102	32062
შემოსავალი სამრეცხაოდან	105000	77987
შემოსავალი ფიტნესიდან	128367	124900
სხვა	281178	535581
სულ	13792848	15703541

8. ამონაგების თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება ძირითადად მოიცავს კომპანიის საქმიანობის თანმდევ კვების მომსახურებაზე გაწეულ პროდუქტების დანახარჯებს.

	2019	2018
საქონლის თვითღირებულება	(1,213,763)	(989,119)
მომსახურების თვითღირებულება	(5,539)	(11,185)
სულ	(1,219,302)	(1,000,304)

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	(2,852,702)	(2,526,687)
იჯარის ხარჯი	(6,122,586)	(6,688,687)
რეცხვა და ქიმ. წმენდა	(227,150)	(215,530)
დაზღვევის ხარჯი	(8,570)	(8,143)
ტრანსპორტირების ხარჯი	(32,740)	(46,682)
კომუნალური ხარჯი	(763,879)	(910,268)
მარკეტინგის ხარჯი	(51,247)	(13,698)
ჯავშნის საკომისიოს ხარჯი	(643,074)	(639,288)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(75,218)	(110,644)
სხვა საბანკო ხარჯი	(132,214)	(134,059)
დაცვის ხარჯი	(3,946)	(3,976)
ინვენტარის შეკეთების ხარჯი	(11,998)	(13,619)
საოფისე ხარჯი	(47,814)	(15,706)
მიღებული მომსახურება	(103,377)	(683,121)
საწვავის ხარჯი	(49,574)	(53,511)
უნიფორმის ხარჯი	-	(6,396)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(531,515)	(966,732)
სულ	(11,657,603)	(13,036,747)

10. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2019	2018
საკურსო სხვაობით გამოწვეული შემოსავალი/ხარჯი	240,032	(337,610)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	(3,276)	(30,373)
სულ	236,756	(367,983)

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული ინფექციის სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და აიკრძალა საჰაერო მიმოსვლა. აღნიშნული ღონისძიებიდან გამომდინარე შპს ჯითიერ-მა შეაჩერა საქმიანობა ყველა ობიექტზე.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2020 წლის 1 ოქტომბერს.

შპს ჯითიერ

დირექტორი: ლაშა მელიქაძე _____

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,121,888	82,944
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,121,888	82,944
სასაქონლო მარაგები	5	131,341	27,335
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	4,369,447	2,651,911
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		423,703	429,476
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,924,490	3,108,723
სულ აქტივები		6,046,378	3,191,666
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	160,471
სავაჭრო ვალდებულებები		3,315,482	1,453,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,315,482	1,613,471
სულ ვალდებულებები		3,315,482	1,613,471
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,730,896	1,578,196
სულ საკუთარი კაპიტალი		2,730,896	1,578,196
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6,046,378	3,191,666

შპს ჯიტიერ

დირექტორი: ლაშა მელიქაძე




მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	7	13,792,848	15,703,541
ამონაგების თვითღირებულება	8	(1,219,302)	(1,000,304)
საერთო მოგება		12,573,547	14,703,237
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(11,657,603)	(13,036,747)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	236,756	(367,983)
მოგება დაბეგვრამდე		1,152,700	1,298,507
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,152,700	1,298,507

შპს ჯიტიერ

დირექტორი: ლაშა მელიქაძე



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი -01.01.2018	-	279,689	279,689
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	1,298,507	1,298,507
ნაშთი - 31.12.2018	-	1,578,196	1,578,196
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	1,152,700	1,152,700
ნაშთი - 31.12.2019	-	2,730,896	2,730,896

შპს ჯიითერ

დირექტორი: ლაშა მელიქაძე



11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული ინფექციის სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და აიკრძალა საჰაერო მიმოსვლა. აღნიშნული ღონისძიებიდან გამომდინარე შპს ჯიტიერ-მა შეაჩერა საქმიანობა ყველა ობიექტზე.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2020 წლის 1 ოქტომბერს.

შპს ჯიტიერ

დირექტორი: ლაშა მელიქაძე

